



დანართი N22

რეკომენდაციები ხანდაზმულთათვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს

არსებული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ხანდაზმული ადამიანები უფრო მოწყვლადები არიან COVID-19 ინფექციის გართულებების მიმართ. ქვემოთ მოყვანილია ძირითადი რჩევები ხანდაზმულთა COVID-19 -ისგან დასაცავად (მოცემული რჩევები ასევე ვრცელდება თანმხლები დაავადებების მქონე პირებზე).

პირადი ჰიგიენა:

- დაიბანონ ხელები საპნითა და წყლით, ან დაიმუშაონ სპირტის შემცველი ხსნარით დახველებისა და დაცემინების შემდეგ; საჭმლის გაკეთების წინ, საკვების მიღების წინ; საპირფარეშოთი სარგებლობამდე და სარგებლობის შემდეგ; როცა ხელები ხილულად ჭუჭყიანია; ცხოველებთან და მათ განავალთან შეხების შემდეგ.
- მოერიდონ ცხვირზე, თვალსა და პირზე ხელის ხშირად შეხებას.

სახლი:

- სტუმრების მიღებისას, შემოიფარგლონ „დისტანციური მისალმებით“ (თავის დაკვრა, ხელის დაქნევა და სხვ.);
- სთხოვონ მნახველებსა და მათთან მცხოვრებ ადამიანებს, სახლში მოსვლისას აუცილებლად და სახლში ყოფნისას ხშირად დაიბანონ ხელები;
- რეგულარულად დაასუფთაონ ზედაპირები სახლში, განსაკუთრებით კი ის ადგილები, რომლებსაც ყველაზე ხშირად ეხებიან სხვები;
- თუ კი მათთან მცხოვრები ადამიანები თავს კარგად არ გრძობენ, (განსაკუთრებით COVID-19 სიმპტომების არსებობის შემთხვევაში), მაქსიმალურად შეზღუდონ მათთან საზიარო სივრცეებში მოხვედრა.

გარემო:

- სახლიდან გასვლის შემთხვევაში, დაიცვან იგივე პრევენციული ღონისძიებები, როგორც სახლში ყოფნისას;

- იყვნენ მუდმივად ინფორმირებულები (მხოლოდ სანდო წყაროებიდან) COVID-19 - თან დაკავშირებული სიტუაციის შესახებ, განსაკუთრებით კი მათ გარშემო (მეზობელი, ქუჩა, ქალაქი, სოფელი და ა.შ.);
- მოერიდონ სახლის დატოვებას და თუ ეს გამოწვეულია გარდაუვალი საჭიროებით, სწორად გამოიყენონ ნიღაბი.

ჯანმრთელობის მდგომარეობა:

- ექიმთან ვიზიტის გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ დაგეგმონ ვიზიტი (ვიზიტის ჩანიშვნა სატელეფონო კომუნიკაციით და სხვ.);
- COVID-19 სიმპტომების გაჩენის შემთხვევაში, ასევე, რეკომენდებულია წინასწარ დაუკავშირდნენ საჭირო სერვისის მიმწოდებელს (112, ოჯახის ექიმის სატელეფონო კონსულტაცია, ცხელი ხაზი, ა.შ)

პროდუქტები და მედიკამენტები:

- მოიმარაგონ პროდუქტები (ხანგრძლივი ვარგისიანობის მქონე) და მედიკამენტები საჭირო რაოდენობით (უახლოესი სასურსათო მაღაზიიდან და აფთიაქიდან), რათა თავიდან აიცილონ სახლიდან ხშირი გასვლა ამ მიზეზებით;
- შესაძლებლობის შემთხვევაში, ხანდაზმული პირების ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის, რეკომენდებულია მათთვის დახმარების გაწევა ზემოაღნიშნული მარაგების შევსებაში.

დამატებითი ინფორმაცია:

www.moh.gov.ge

ცხელი ხაზი: 1505, 1522, 144

www.ncdc.ge

ცხელი ხაზი: 116001

StopCoV.ge